502/1940/2

საქართველოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის

მოამბე

ტომი I № 4

СООБЩЕНИЯ

ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА АКАДЕМИИ НАУК СССР

ТОМ I № 4

MITTEILUNGEN

DER GEORGISCHEN ABTEILUNG DER AKADEMIE
DER WISSENSCHAFTEN DER USSR

BAND I № 4

თბილისი 1940 ТБИЛИСИ
TBILISSI

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I № 4, 1940
СООБЩЕНИЯ ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА АКАДЕМИИ НАУК СССР, Т. I № 4, 1940
MITTEILUNGEN d. GEORGISCHEN ABTEILUNG d. AKADEMIE d. WISS. d. USSR, Bd. I Nr 4, 1940

ენათმეცნიერება

არნ. ჩიქობავა

ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღისტნიდან

(წინასწარი ცნობა)

წარწერა ამოკვეთილია თეთრი თლილი ქვის ჯვარზე, რომელიც ინახება დაღისტნის ცენტრალურ მუზეუმში, ქალაქ მახაჩ-ყალაში.

მასზე მიგვითითა ხსენებული მუზეუმის ფონდების გამგემ ამხ. ვალენტინა სოკოლოვამ, როცა 1939 წ. ივნისში მუზეუმში მოვიკითხეთ (ამხ. შაჲაბუდინ მიქაილოვის ჩვენებით) უცნობი წარწერა: „გვაქვს სომხური წარწერა, თუ გაინტერესებთო“.

ჯვარი პატარაა: სიმაღლე—22½ სანტ., განი—17 სანტ.; სამივე ფრთა სამწვერიანია; მარცხენა ფრთის ქვედა ნაწილი ჩამოტეხილია.

მუზეუმს ჯვარი გადასცემია ბუინაქსკის ანტირელიგიური მუზეუმიდან უკანასკნელის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით (1933 წ.); სხვა ცნობები მუზეუმს არ მოეპოება.

ჯვარს სრულებით არ ეტყობა ატმოსფერული ზეგავლენა: ჩანს, ის შენობის შიგნით ყოფილა აღმართული,

წარწერა 11 სტრიქონს შეიცავს; შესრულებულია ასომთავრულად (ქართული ტექსტი) და ნუსხურად (ხუნძური ტექსტი); შიგა-და-შიგ ასომთავრულში ნუსხური დამწერლობის ასოებიც ურევია (უფრო ი შვიათად—პირუკუ).

ტექსტში ხშირია ორწერტილი და ქარაგმები; ქარაგმები ხუნძურ ნაწილში მხოლოდ ერთგანაა გამოყენებული: ხუნძურ ტექსტზეა ყურადღება გამახვილებული.

წარწერის ტექსტი:

უცვლელად:	ქარაგმების გახსნით:
ჯრ᷄ი ქე	ჯოჯარი ქრისტე
შ᷄ე თ᷄ე წ	შეიწყალე თეოდორე წმი-
ო᷄ თ᷄ე: წ᷄ო	დაო თეოდორე: წმიდაო
სარკელი: წობთეგ	სარკელი: წობთეგ

(1 წაკითხულია ენიმკის კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომაზე 31.III.1940, 21. „მოამბე“, ტ. I, № 4.

ცვლილებამდე:	ქარაგმების გახსნით:
ი: ბოტბ: ჩაჰლტა: რა...	ი: ბოტბ: ჩაჰლტა: რ[ა]
ვ: ჩ'ჰე	ვ: ჩ'ჰე[ვ]
ს ი ტ ა	ს ი ტ ა
ა'ნ: ო'	ამინ : ოჳფალო
:ღ'ო: ჩნო	:ღმერთო: ჩუენო
გ ა ბ რ ლ ი	გაბრიელი
დაიცოვნ	დაიცოჳნ.

როგორც აქედან ჩანს, თავი და ბოლო წარმოგვიდგენს ქართულ ტექსტს, ამგვარი შემთხვევისათვის ტრაფარეტულს, ოღონდ ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

ა) პირველი სიტყვა წოდებითში კი არაა (ჯუარო), არამედ—სახელობითში: აქ დასახელებაა იმისა, რაც ჩვეულებრივ წარწერებში ნიშნით გადმოიცემა; ჯვრის კულტს ეს შეეფერება [1]. [2].

ბ) ჯერ შესაწყალებელი თეოდორეა დასახელებული, მერე—შემწყალებელი წმიდანი; ჩვეულებრივია—პირიქით. წო' თ'ე შეიძლებოდა წობ თეგი-ს განმეორებად მიგვეჩნია—შინაარსით (იხ. ქვემოთ) ეს გამართლებული იქნებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ქარაგმა მოსალოდნელი არ იყო.

გ) შესავედრებელ წმინდანად **სარკელი**-ცაა გამოყვანილი. როგორც სპეციალისტებმა განმარტეს, ასეთი წმინდანი ბერძნულმა და რომაულმა ეკლესიამ არ იცოდა.

ეს სიტყვა ჩრდილოურ ხაზარულ სამყაროს მოგვაგონებს: სარკელი—„თეთრი სახლი"—Белая Вежа ხაზართა ქალაქის სახელადაა ცნობილი. რა შუაშია წმინდანი? იქნებ ადამიანის სახელადაც იხმარებოდა და ამ სახელის მატარებელთაგანი წმინდანად შერაცხილიც იყო?!

ერთ ხუნძურ აულში სარკილ კაცს ერქვაო, გადმომცა ამხ. შ. მიქაილოვმა. ენიმკი-ს მეცნ. თანაშრომელმა მ. გუჯეჯიანმა მიგვითითა, სარაკელ სვანურ წყევლის ფორმულაში გვხვდებაო; საკითხი დამატებით ძიებას მოითხოვს.

წარწერის ბოლო ნაწილი გაბრიელის „დაცვას" შესთხოვს უფალს. შესაძლოა ეს იყოს წარწერის ამომშვრელი.

წარწერის შიგნით მოქცეული ფრაზა:

წობთეგი: ბოტბ: ჩაჰლტა: რ[ა] ვ: ჩ'ჰე სიტა ხუნძური ჩანს მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მთლიანად არაა გარკვეული ფრაზის მნიშვნელობა.

წობთეგი ორსიტყვიანი გამოთქმაა: **წობ**—ესაა ხუნძ. წობ „წყალობა". **თეგი**—ხუნძ. **ლ'ეგი** ნატერითი კილოს ჩვეულებრივი ფორმაა (შდრ. ჭაჭაგი! გაუმარჯოს! „იცოცხლოს!") ზმნისგან ლ'ეზე „დება":

წობ თეგი „წყალობა დაიდოს", „შეწყალებულ იქნეს"; იხ. ამჟამადაც არაა უცნობი გამოთქმა: ალლაჰასულ წობ ლ'ეგი დუდა!—ღვთის წყალობა (დაგედოს) შენ!

---

[1] ამ ქარაგმის გახსნა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება. აგრეთვე დაზიანებული ადგილის აღდგენა: რ-ს შესდევს ჩანს ა-ს თავი.

ქართულ წარწერაში მაგარი წჲ გადმოცემულია ჩვეულებრივით, ლატერალურ სპირანტ **ლ'**-ს კი წარწერის ამომჭრელმა **თ** შეუფარდა.

საინტერესოა, რომ თვით ხუნძურშიც, სახელდობრ, მის ანწუხურ კილოში, **ლ'→თ**; მაგრამ თეგი-ს **თ** აქ ხუნძურიდან არ უნდა მომდინარეობდეს (იხ. ქვემოთ).

რა...**ვ** ხუნძური პირველი გრამატიკული კლასის ნიშნით (**-ვ-**) თავდება. აქ იგი მიმღეობას უნდა ჰქონდეს დართული. რა ზმნისას? საფიქრებელია, ეს იყოს **ჰაალტარავ**—ზმნისაგან ჰაალტიზე „მუშაობა", „დაშვრომა",—ნამყო დროისა „დამაშვრალი", „ნამუშაკევი". მაგრამ მაშინ **ჩა** გვრჩება აუხსნელი, **ლ**-ასის წინამავალი **ა**-ც გვაკლია (ჰა კი შეეძლოთ **ჰ**-თი გადმოეცათ,—ეს არაა დაბრკოლება); მერე: **რ**-ს შემდეგ დაზიანებული ადგილი ერთზე მეტ ასოს—ორს თუ სამს—გვაფარაუდებინებს.

შეიძლებოდა წერტილით გამოყოფილი სიტყვები ცალ-ცალკე დაგვეტოვებინა და **რ**ა...**ვ** დაგვეკავშირებინა ზმნასთან **რაღიზე** „ბრძოლა", **რაღ'ავ**-=**რაღულავ** „მებრძოლი", воинственный, მაგრამ მაშინ დაჭარაგმება უნდა ვივარაუდოთ დაზიანებულ ნაწილში.

ჩაჰლტა შეიძლება იყოს ლოკატივი კითხვაზე სად? (ჩაჰლტა←ჩაჰლდა, როგორც ეს ხუნძახის რაიონშია ჩვეულებრივი) და მაშინ ადგილის გარემოებასთან გვექნება საქმე; მაგრამ შეუძლებელი არაა ეს იყოს **ჩალთა** „საბრძოლო ნაჯახი"; ასეთ შემთხვევაში ის მიეკედლებოდა მომდევნო სიტყვას რაღ'ავ=„რაღულავ".

ჩ'ჰე ? ჩაფჭენ (‖ ჩაფხენ)—თავდასხმა?

სიტა, თუ წინა სიტყვის ბოლო არაა, სჩი-ს ლოკატივი იქნება: სჩი—კოშკი, სიტა (←სჩიდა)—კოშკი (კოშკზე). **-ტა**-თი დაბოლოებული ლოკატივი ისევ ხუნძახურ რაიონზე მიგვითითებს.

ბოტბ... ეს სიტყვა მოსდევს თეგი-ს; უკანასკნელი ზმნაა და მოითხოვს ლოკატივს („წყალობა შენდა... მისდა..."); ბოტბ **-და** ‖ **-ტა** წარმოების ლოკატივი არაა. მაშასადამე, **ბოტბ** არ შეიძლება იყოს ის პირი, რომლის შეწყალებას სარკელის შესთხოვენ. აქ ისევ გარემოების აღმნიშვნელ სიტყვასთან უნდა გვქონდეს საქმე.

გვერდს ვერ ავუვლით **ბო**-ს: ბო—ჯარი, მაგრამ ფორმაა გაუგებარი; ბოტჲ-ის არა ზუსტი გადმოცემა თუა:—„ჯარში"?

ერთი რამ მაინც გამორიცხულია: ბოტბ-სიტყვის ბოლოკიდური **ბ** მესამე კლას-კატეგორიის ნიშნიანი ლოკატივი (ტიპისა—რუყო-ბ, რუყო-დ, რუყო-ვ „სახლში") ვერ იქნება: მიმღეობის **ვ** (რა...ვ) პირველი კლასისა ამას გამორიცხავს (საერთო წესების თანახმად).

ეგეთი სამიმღეობო დაბოლოება ცხადყოფს, რომ წარწერა **მამაკაცს ეხება** და მისთვის **შეწყალების გამოთხოვას** შეიცავს.

როდის არის ამოჭრილი წარწერა? პალეოგრაფიულ თვისებათა მიხედვით იგი XIV საუკუნეს ვერ გადმოსცილდება; ისტორიული კონტექსტიც ამას უჭერს მხარს: თემურ ლენგის შემდეგდროინდელ დაღისტანში ამგვარი ძეგლის აღ-

მართვა სავარაუდებელი არაა. მეთოთხმეტე საუკუნეში კი ეკლესიაც კი აშენებულა შიგნით დაღისტანში, ხუნძურ ყოისუს ხეობაში, დათუნში, ხუნძახის რაიონის სამხრეთით.

შამილის მდივნის ჰაჯი ალი ჰუხელის ცნობით დათუნის ეკლესია 1363 წელს აუგიათ ქართველებს (თლილი ქვის ეკლესია დღემდის დარჩენილა).

ჰაჯი ალის ცნობას ზოგადად უდგება „ჟამთა აღმწერელის“ ჩვენებაც: „ხოლო ამავე ჟამთა [იგულისხმება დიმიტრი თავდადებულის მეფობა—ა. ჩ.) ბრწყინვიდა პატიოსანი პიმენ სალოსი, რომელიც ვარესჯით წარმოვიდა და დაემკჳდრა ბელაქანს, ქვაბსა რასამე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცინა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა. ამას თანა ბრწყინვიდა დიდიცა იგი მოღუაწე ანტონი ნაოჭრებულისძე, ნათესავით მესხი“ [3].

სად უნდა იყოს ამოჭრილი წარწერა? ალბათ, ხუნძახის რაიონში, როგორც ამას **-ტა** ბოლოსართი გვაფიქრებინებს (იხ. ზემოთ).

წარწერაში მოცემული ხუნძური წინადადება **უძველესი ენობრივი დოკუმენტია ამ ენის** (და, საერთოდ, დაღისტნის ენების) **ისტორიისა** (აკად. გიულდენშტედტის ლექსიკური ჩანაწერები 1772—73 წლებს ეკუთვნის) და ეს უძველესი დოკუმენტი **ქართული ანბანითაა შესრულებული.**

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და
მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 19.4.1940)

ЯЗЫКОВЕДЕНИЕ

АРН. ЧИКОБАВА

ГРУЗИНСКО-АВАРСКАЯ НАДПИСЬ XIV В. ИЗ ДАГЕСТАНА

(Предварительное сообщение)

Резюме

Надпись высечена на каменном кресте из белого тесанного известняка (разм. $22^1/_3$ см × 17 см); крест хранится в Дагестанском Центральном Музее в г. Махач-Кала; поступил в Музей из Буйнакского антирелигиозного Музея в 1933 г.; не известно, откуда доставлен в последний.

Надпись хорошо сохранилась (пострадало лишь одно место: обломлен угол); влияния атмосферных осадков не заметно; повидимому, крест был водружен внутри помещения.

Надпись сделана грузинским церковным уставным письмом „мтаврули“ (грузинская часть) и грузинским церковным строчным „нусхури“ (аварская часть); разграничение двух шрифтов, впрочем, строго не проводится: в отдельных словах используются как тот, так и другой шрифты.

По характеру письма памятник нужно отнести к XIII—XIV в. и во всяком случае, не позднее XV века. Грузинский хронограф „Жамта-агмцерели“ (XIII—XIV в.) указывает на миссионерскую деятельность некоего Пимена Салоса по обращению дагестанцев в христианство из язычества в царствование Димитрия Самопожертвователя (семидесятые и восьмидесятые годы XIII в.): Али-Хаджи Чухский, личный секретарь Шамиля, в своей исторической записке отмечает постройку грузинами церкви в Датуна, в центральном Дагестане в ущелье Аварского Койсу, севернее Кахиба в 1363 году.

Таким образом, исторические факты и палеографические данные подкрепляют выставленную датировку. После XV в. возможность появления таких памятников в Дагестане, уже мусульманском, совершенно отпадает.

Надпись состоит из 11 строк; в грузинской части слова сплошь да рядом находятся под титлом, в аварской части титло используется только раз; слова приводятся без сокращения: видимо, этой части надписи уделялось особое внимание.

Текст надписи:

С титлами:

ǯ̄ri ke še t̄e ç̄o t̄e : ç̄o · sarḳeli : ço b t e g i : b o ṭ b

č a h l ṭ a : r a... w : č̄ h e si ṭ a : a n̄ : o̅ : γ̄o : gabrli daicown

С раскрытием титлов:

ǯouari kriste šeiçqale teodore çmidao teodore: çmidao

sarḳeli : ço b t e g i : b o ṭ b : č a h l ṭ a : r a... w : č̄ h e[1]

si ṭ a amin : oupalo : γmerto čoueno gabrieli daicouen

Перевод грузинской части:

Крест христе помилуй Феодора святой Феодор: святой Саркелий:

. . . . . амин: господи боже наш Гаврила защити

В этой части любопытно упоминание св. Саркелия: по указанию специалистов такого святого греко-римская церковь не знала. Невольно вспоминается хазарский город Саркел—„Белая Вежа“; есть указания, что у аварцев встречается имя мужчины „Саркил“; „саракел“ встречается в сванской фразе проклинания. Как бы то ни было, Саркел отражает местную

[1] Оставляем не раскрытым: не расшифровано.

действительность: вслед за обращением к нему и начинается аварский текст.

В аварской фразе бесспорно значение первого выражения: წობ თეგი ċob tegi: წობ ċob, это авар. ċoob милость; თეგი tegi форма желательного наклонения от глагола ლ'ეზე l'eze „класть", „положить": წობ თეგი ċob tegi „помилуй", дословно: „да положится милость"; ср. известное выражение: ალლაჰასულ წოობ ლ'ეგი დუდა! allahasul ċoob l'egi duda! „да падет (положится) на тебя милость аллаха!"

Геминированный წი ċi передан в грузинской надписи обычным წ ċ; латеральный ლ' l'—близким к нему თ t (в ашухском диалекте авар. яз. ლ' l' регулярно представлено через თ t). Замена вызвана отсутствием звуков წი ċi, ლ' l' в грузинском языке и соответствующих букв в грузинском алфавите.

Остальная часть текста пока окончательно не разъяснена.

По всей вероятности, რ|a...| ვ r|a...| w имеет окончанием ვ w, показателя первого класса (имена муж. рода): корневой ვ w в исходе аварских слов не встречается. После რ r начало ა a ясно виднеется; дальше угол обломлен; если тут подразумевать რავ raw, его можно было бы считать окончанием причастия прош. времени и воссоединивши с частью предшествующего слова, имели бы ჰ(ა)ლტარავ h(a)lṭaraw (от глаг. ჰაალტიზე haalṭize) „потрудившийся"; но это встречает ряд препятствий.

Возможно რ|ა |ვ r|a...| w связать со словом რაღ raγ „сражение", რაღიზე raγize „сражаться", რაღ'ავ raγ'aw=რაღულავ raγulaw „воинственный", но тогда надо допустить, что в дефектной части слово было под титлом.

Последнее слово სიტა siṭa, если это не окончание ჩ'ჰე č'he, представляется локативом серии -და -da от слова s'i „башня":

სიტა siṭa ← სიდა sida „на башне".

Локатив на -ტა -ṭa характерен для хунзахского говора северного наречия; этим определялось бы местопроисхождение памятника.

Слово ჩაჰლტა čahlṭa, возможно, обстоятельство места в форме локатива с тем же -ტა -ṭa вместо -და -da (напоминает оно также авар. ჩალთა čalta „боевая секира", но тогда это не обстоят. места и не локатив!).

Слово ბოტბ boṭb также гадательно можно было связать со словом ბო bo „войском": ბოტბ boṭb вместо ბოტი boṭi „в войске", „под войском".

Во всяком случае это не имя лица: глагол ლ'ეზე l'eze требует локат. на -და -da, чего тут не имеется.

Слово ჩ'ჰე č'he? Не связано ли оно со словом ჩაფჴენ čaṗqen (‖ ჩაფხენ čaṗxen) „набег"?!

Все это гадательно. Бесспорно лишь, что это—надпись аварская; что в ней у Саркелия испрашивается милость для мужчины.

Лингвистически надпись ценна, как древнейший (пока) документ истории аварского языка да и, вообще, дагестанских языков.

Эта древнейшая надпись высечена грузинским шрифтом; в этом ее несомненное культурно-историческое значение.

Грузинский Филиал АН СССР
Институт языка, истории и материальной культуры
имени акад. Н. Я. Марра
Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. П. Услар. Начало христианства в Закавказье и на Кавказе. Сбор. свед. о кавказ. горцах, II, გვ. 1—24.
2. სიმ. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, ტფილისი, 1937, გვ. 96—102.
3. „ქართლის ცხოვრება", მეორე გამოცემა ზაქ. ჭიჭინაძისა, ტფილისი, 1897, გვ. 612.